№ 22 01.04.2022

შპს „გეო ენერჯი"-ს დირექტორს ბატონ გიორგი ხარატს

ბატონო გიორგი,

თქვენს 2022 წლის 31 მარტის განცხადებაზე, ქ. თბილისში რუსთავის გზატკეცილის N68ა მდებარე მიწის ნაკვეთებზე ფეროშენადნობების საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოსა და ადმიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების რისკებთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს:

როგორც თქვენთვის ცნობილია შპს „გეო ენერჯი"-სა და შპს „გამა კონსალტინგს" შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ჩვენ მიერ დაწყებულია ზემოთ აღნიშნულ მისამართზე დაგეგმილი ფეროშენადნობების საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის მომზადება. საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს თანახმად, ამ ეტაპზე მომზადებულია სკოპინგის ანგარიში, რისთვისაც ჩატარებულია შესაბამისი კვლევები და გარემოზე ზემოქმედების წინასწარი შეფასება.

ფეროშენადნობთა საწარმოს (სილიკომანგანუმის წარმოება) ექსპლუატაციის პროცესში გარემოზე ზემოქმედების ფაქტორებიდან მნიშვნელოვანია ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა (მანგანუმის შემცველი მტვერი) გავრცელება. თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაციის (საწარმოში დამონტაჟებული იქნება 0.97 ტ/სთ წარმადობის ერთი ღუმელი და აირგამწმენდი ფილტრის გამოსავალზე მტვრის კონცენტრაცია არ იქნება 20 მგ/მ$^3$-ზე) საფუძველზე ჩატარებული გაანგარიშების და პროგრამული მოდელირების შედეგების მიხედვით, უახლოესი საცხოვრებელი ზონის საზღვარზე და 500 მ-იანი ნორმირებული ზონის ფარგლებში მტვრის ფორმირებული კონცენტრაცია არ გადააჭარბებს ნორმირებულ მაჩვენებლებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მიხედვით შპს „გეო ენერჯი" ვალდებულია საწარმოს აირგამწმენდი სისტემის გამფრქვევ მილზე მოაწყოს ატმოსფერული ემისიების ონლაინ მონიტორინგის სისტემა, რომელიც დაკავშირებული იქნება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სამსახურის სერვერთან და ყოველ 10 წუთში მოხდება გაფრქვეული მავნე ნივთიერებების კონცენტრაციების აღრიცხვა. აღნიშნული ინფორმაცია იქნება საჯარო და ნორმირებულ მაჩვენებლებზე გადაჭარბების შემთხვევაში საწარმოს შეუჩერდება ექსპლუატაცია.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ წინასწარი კვლევის შედეგების მიხედვით, საწარმოს ნორმალურ რეჟიმში ექსპლუატაცია გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების რისკებთან დაკავშირებული არ იქნება.

პატივისცემით,

ზურაბ მგალობლიშვილი

შპს „გამა კონსალტინგი"-ს დირექტორი